ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 143

ქალაქი ქუთაისი 30 ნოემბერი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ანა ჩაკვეტაძის, ემელია კუპრაშვილის, მანანა ჩხეიძის, ლევან მახათაძისა და რუსუდან მილორავასათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 24 ნოემბრის №44–442232897 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

**მუხლი** 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ანა ჩაკვეტაძის, ემელია კუპრაშვილის, მანანა ჩხეიძის, ლევან მახათაძისა და რუსუდან მილორავასათვის 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად.

(დანართი წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წელი, №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-ზე შეადგენს 100.0 (ასი) ლარს.

**მუხლი 3.** სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს კიბის მოსაწყობად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტების მიხედვით.

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. №-245

**მუხლი 4.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულებების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 5.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 6.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 7.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის 30 ნოემბრის
№143 განკარგულების დანართი

პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ანა ჩაკვეტაძის, ემელია კუპრაშვილის, მანანა ჩხეიძის, ლევან მახათაძისა და რუსუდან მილორავასათვის სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალი

| № | მოიჯარე | პირადი/ საიდენტი- ფიკაციო ნომერი | მისამართი | ქონების დასახელება | ფართობი | საკადასტრო კოდი | წლიური საიჯარო ქირა (ლარი) | დანიშნულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | მოქალაქე ანა ჩაკვეტაძე | 60001034887 | ქალაქი ქუთაისი, ვარლამიშვილის ქუჩა №9-ის აღმოსავლეთით | ტროტური | 2.38 კვ.მ. | 03.03.22.420 | 238 | კიბის უჯრედის მოსაწყობად |
| 2. | მოქალაქე ემელია კუპრაშვილი | 60001036605 | ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის გამზირი №15-ის ჩრდილოეთით | ტროტუარი | 1.28 კვ.მ. | 03.01.23.872 | 128 | კიბის უჯრედის მოსაწყობად |
| 3. | მოქალაქე მანანა ჩხეიძე | 60001133308 | ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის გამზირი №3-ის ჩრდილოეთით | ტროტუარი | 1.89 კვ.მ. | 03.01.21.007 | 189 | კიბის უჯრედის მოსაწყობად |
| 4. | მოქალაქე ლევან მახათაძე | 18001019225 | ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის გამზირი №9-ის ჩრდილოეთით | ტროტუარი | 1.00 კვ.მ. | 03.01.21.008 | 100 | კიბის უჯრედის მოსაწყობად |
| 5. | მოქალაქე რუსუდან მილორავა | 60001017713 | ქალაქი ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუჩა №163-165-ის დასავლეთით | ტროტუარი | 6.40 კვ.მ. | 03.06.21.502 | 640 | კიბის უჯრედის მოსაწყობად |

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო • საქართველო